# თავისუფალი საქართველო

№27

28 ნოემბერი - 4 დეკემბერი 1995 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


## რედაქტორის სვეტი

საქართველოში მოეწყო არჩევნები. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. ამ არჩევნებმა კიდევ ხუთი წლით გაუხანგრძლივა არსებობა რეჟიმს, რომელმაც ჩვენს ქვეყანას ნგრევა, სილატაკე, ტერიტორიების დაკარგვა, რუსული ბაზების დაკანონება, სახელმწიფოებრიობის რღვევა, ეროვნული ცნობიერების მოშლა, უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლი მოუტანა.

ამით ჩვენს ისტორიაში დამთავრდა კიდევ ერთი ეტაპი - მთელი ეპოქა დიდი ილუზიების, დიდი გაცრუებების, დიდი ტკივილის. დამთავრდა დემოკრატიის და პლურალიზმის თამაშიც. კომუნისტურმა ნომენკლატურამ, ხუთწლიანი გარჯის შედეგად, ბოლოს და ბოლოს, სრულად აღიდგინა თავისი უფლება - იყოს ერთადერთი ბატონ-პატრონი ქვეყნის, რომლის არც ტკივილი აღელვებს, არც მომავალი აწუხებს და არც წარსული ექვირფასება. საქართველოში დამკვიდრდა ერთპარტიული უკონტროლო მმართველობა, რომელსაც რუსეთის პოლიტიკური ინტერესები და პირადი კეთილდღეობის მოტივები უდევს საფუძვლად.

ჩვენ, საქართველოს მოსახლეობა, სათვალავში არც ვირიცხებით, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, როცა ქვეყნის სათავეში რუსულ-კომუნისტური ძალები მოდიოდნენ. ჩვენ ამის დიდი გამოცდილება გვაქვს. ჩვენზე ბევრს ილაპარაკებენ, იქნება აპელირება ჩვენს ინტერესებზე, ჩვენს კეთილდღეობაზე, ჩვენს არარსებულ ხმაზე, ჩვენს მითიურ მოთხოვნებზე, მაგრამ ჩვენი არც ერთი რეალური ინტერესი არც გათვალისწინებული, არც ნაგულისხმევი არ იქნება საქართველოს უახლოეს მომავალში.

ჩვენს თვალწინ თავიდან დაიწერება ისტორია - ახალი როლებით, ახალი ფიგურებით, ახალი ფაქტებით. მართლა ძვირფასი და ღირებული - შეცდომად, დანაშაულად, უმეცრებად წარმოჩინდება; აშკარა ბოროტმოქმედება კი - უდიდეს სიკეთედ. ეს ისტორია უკვე იწერება. გასაოცარი უტიფრობით ხდება სინამდვილის ფალსიფიცირება. საქართველო უტყვად დგას ამ სიყალბის წინაშე და მხოლოდ ქარი მოურიდებელი დაუდევრობით ფანტავს "მაღალი ტრიბუნიდან" ენის ბორძიკით წარმოთქმულ არაგულწრფელ სიტყვებს.

ჩვენს ქვეყანაში მოეწყო კომუნისტურად პომპეზური ინაუგურაცია, კომუნისტურად საპარადო და საჩვენებელი, კომუნისტურად დახვავებული უადგილო აქსესუარებით - ხალიჩებით, ზალპებით, გვირგვინებით, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით, საპატიო მაღალი სტუმრებით, ასაკოვანი ვარსკვლავების ტრადიციული პლეადით, კარის პოეტებით, სათნოდ მომღიმარი პატრიარქით, შამპანურით, ლექსებით, პოემებით, დითირამბებით...მმართველი ელიტა ზეიმობს თავის მორიგ გამარჯვებას საკუთარ ხალხზე.

ამ თვალისმომჭრელი ოფიციალური ცერემონიის მიღმა, სადღაც პატიმრებით გადავსებულ ციხეებში, უშუქო, გაუნათებელ სოფლებში, დაცარიელებულ აფხაზეთში, ოსების სანაპირო სამაჩაბლოში, უსახლკაროდ დარჩენილი ქართველის ჩუმ გააფთრებაში, პატარა ბიჭის ბრჭყვიალა დახლებისკენ უნებლიეთ გაქცეულ მზერაში საქართველოს ნამვილი ისტორია თამაშდება.

ასე ყოფილა და ასე იქნება - იოლად არასოდეს არაფერი მიგვიღია. არც ამჯერად დაარღვია ისტორიამ თავისი კანონი. წინ დიდი ღვაწლია.

მიზანი, რომლისკენაც საქართველო ისწრაფვის - ბრძოლადაც ღირს, დათმენადაც, გარჯადაც. დრო უძლურია ჭეშმარიტი ფასეულობების წინაშე, იგი მხოლოდ პატარა გმირებს, პატარა იდეებს, პატარა მიზნებს ერევა.

ჩვენჩვენი დღესასწაულები გვაქვს, მარადიული, უკვდავი, ბრწყინვალე დღესასწაულები - კახურ ღვინოში ჩაწურული შემოდგომის მზით დამტკბარი, მართლა განსაცვიფრებელი დღესასწაულები - წელიწადში სამას სამოცდახუთი!

საქართველოს თავს გიორგობის მადლი ადგას.

ბრძოლა თავისუფლებისთვის გრძელდება.

ჯერ არაფერი დამთავრებულა.

# არჩევანი - წარსულისა და მომავლის მიჯნაზე

**ქვეყანაში, სადაც ამხობენ ზვიად გამსახურდიას, აღარავის სჭირდება დავით ბერძენიშვილი, აკაკი ასათიანი, ვახტანგ რჩეულიშვილი... და სხვანი და სხვანი. წრე სულ უფრო ვიწროვდება. გასარკვევია მხოლოდ, ვისი ყელი აღმოჩნდება ბოლოს მარყუჟში**

გასაოცარია, რომ არჩევნების შედეგები (მნიშვნელობა არა აქვს - სამართლიანი თუ უსამართლო ხერხებით მიღწეული) შოკის მომგვრელი აღმოჩნდა "კონსტრუქტიულ ოპოზიციაში" მყოფი პოლიტიკური საზოგადოებისთვის. როგორც ჩანს, ჩვენ მაინც ვცდებოდით - ინტელექტუალური სიმწირე მასშტაბურ ბოროტებად მივიჩნიეთ. რეალობა კი უფრო მარტივი აღმოჩნდა. მონადირემ მიზანს არ ააცილა და მოისროლა გამოყენებული ვაზნები.

არჩევნების მთავარი შედეგი არის ის, რომ შევარდნაძე გახდა პრეზიდენტი (როგორც იქნა - ახლა კლასიკოსი მამა აკლია მხოლოდ), პარლამენტი კი, ფაქტობრივად, არ არსებობს. ვინაიდან მასში წარმოდგენილი პარტიების მიღმა მოსახლეობის მხოლოდ 38 პროცენტი დგას.

პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიცია ამას ხელისუფლების მარცხად მიიჩნევს. ეს ასეც არის, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ, ასე ვთქვათ, ეს მორალური ხარვეზია. მაგრამ ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ ვისთვისაც საერთოდ არ არსებობს მორალი და ვისაც დანაშაულიც კი წინასწარ აქვს შეკვეთილი, აღელვებდეს ეს ლოგიკა. ეს მას ხელს არ უშლის ძალაუფლების განხორციელებაში. ქუჩაში დარჩენილი ოპოზიცია ასევე მის კალთაშია გამოზრდილი და კარგად იცის, ვინ რამდენად იყიდება.

ნებსით მოხდა ეს თუ უნებლიეთ, ფაქტია, ლეგიტიმურობას მოკლებული, არასრულფასოვნების კომპლექსის ტყვეობაში მყოფი საკანონმდებლო ორგანო უფრო ადვილი სამართავი იქნება. იქ მოხვედრილ პარტიებს ერთმანეთში გასაყოფი, უდავოდ, ექნებათ (თუნდაც სკამები), მაგრამ, საეჭვოა, პრინციპულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ მთავარმართებელთან და მის სტრატეგიულ კურსთან მიმართებაში.

არსებითად, ამ არჩევნებით გაფორმდა სისტემის მთავარი საყრდენი ძალების ბატონობა: ძველი კომუნისტების, პოსტპერესტროიკული კომუნისტებისა და ფსევდონაციონალ-ნეობოლშევიკების. ამასთან, ეს უკანასკნელნი "ახალ" ხელისუფლებაში წარმატებით შეცვლიან "მხედრიონს", იმ განსხვავებით, რომ მათი ქარიზმატულობაზე პრეტენზიის მქონე ლიდერი დასაჭერი აღარ იქნება და მის ეკლის გვირგვინს ამაყად ზიდავს ლოგიკური აბსურდიზმის ენაწყლიანი მქადაგებელი მეუღლე.

აშკარაა, რომ პოლიტიკური სპექტრის შევიწროება გაუადვილებს შევარდნაძეს, ასე ვთქვათ, კონსენსუსის მიღწევას. მაგრამ გასათვალისწინებელია (და არა მხოლოდ მისთვის, არამედ ჩვენთვისაც), რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ ყველაზე გაუმაძღარი ძალები. ამდენად, სოციალური ამინდის მკვეთრი გაუმჯობესება უახლოეს ხანებში მოსალოდნელი არ არის.

ცხადია, ასევე პოლიტიკურისაც. პირიქით - თუ ეროვნულ-დემოკრატებმა ხელთ იგდეს თუნდაც ერთი ძალისმიერი სტრუქტურა (წინასწარი მონაცემების თანახმად, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობას ამჯერად მამუკა გიორგაძეს არიან შეპირებულნი), საფიქრალია, რეპრესიული დაწოლა გაძლიერდება და უფრო სასტიკიც გახდება - რაც ზოგადად დილეტანტიზმის თანდაყოლილი სენია. რასაც ნამდვილი ჩეკისტი, რომლის გამოცდილება 70-წლიან ტრადიციას ეყრდნობა, სკრუპულოზური ფსიქოლოგიური შრომით მიაღწევს, ლუმპორეულ პოლიტმდივანს, რომლის აპოთეოზიც ნაგვის ბარიკადებზე წამოწოლასთან არის დაკავშირებული, აუცილებლად შტირები, გახურებული სპირალები და სხვა უხეში აღჭურვილობა დასჭირდება. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში, თუ გიორგაძე 2 პირველზე იღბლიანი გამოდგა და დანაპირები აუსრულეს.

***

მარცხის მიუხედავად, "კონსტრუქტივისტები" ცდილობენ არ დაკარგონ სახე. არადა, მათი მარცხი მართლაც იმდენად აშკარაა, რომ ყველაზე ეფექტურ არგუმენტს - არჩევნების არადემოკრატიულობასა და შედეგების გაყალბებას - ოპოზიცია თითქმის არ იყენებს. ან კი რაში აწყობთ, როცა თავადაც იციან: განსხვავებით ბლოკისგან "XXI საუკუნე", რომელსაც მართლაც მოჰპარეს ხმები, რესპუბლიკელები ხუთ პროცენტს ისედაც ვერ აგროვებდნენ, ხოლო ტრადიციონალისტებს იქით შეიძლება შეედავონ. ამიტომ პირველნი ძირითადად აჭარაში მომხდარი ძალისმიერი ზეწოლის ფაქტებს აპროტესტებენ, რაც, შესაძლოა, შევარდნაძესაც აწყობდეს, მეორენი კი - ზოგადი, სხვათა შორის ნასროლი განცხადებებით შემოიფარგლებიან და იქვე აღფრთოვანებას გამოხატავენ შევარდნაძის გაპრეზიდენტების ფაქტთან დაკავშირებით.

ხაზი ესმება იმასაც, რომ ისინი ქუჩაში არ დარჩენილან და მათი მარცხი ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცესის ფარგლებში თავსდება, მომავალი მაინც მათ ეკუთვნით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მომავალი ჯერ არ დამდგარა. ამდენად, საფიქრალია, კონსტრუქციული თანამშრომლობა ამჯერად პარტიულ ოფისებში გადაინაცვლებს.

გარდა ამისა, ორივე პარტიას აქვს და, შესაძლოა, შეინარჩუნოს კიდეც ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმასრულებელი სავარძელი: ქართველი ჩუბაისი - ტრადიციონალისტი ბასილია ვიცე-პრემიერის რანგში კურირებს ფინანსურ რეფორმას, ხოლო რესპუბლიკელი შავიშვილი ხელმძღვანელობს კონტროლის პალატას. არ არის გამორიცხული ახალი პორტფელების მოპოვებაც და ორიენტაცია, ალბათ, სწორედ ამაზე იქნება აღებული. ამდენად, შეიძლება თუ არა, ეს ძალები ოპოზიციად ჩაითვალონ, კიდევ საკითხავია.

თუმცა შესაძლებელია მეორე ვარიანტიც: ლარის ხელოვნური განმტკიცების გარდუვალი კრახის შემთხვევაში, ჯოხი სწორედ ბასილიაზე გადატყდება, ხოლო შავიშვილის გადამეტებული "პატრიოსნება" მისივე გასაროზგ მათრახად გადაიქცევა. შევარდნაძეს, უფრო სწორად კი სისტემას, ახასიათებს ასეთი პარადოქსები. ბოლოს და ბოლოს, ეშმაკის მეჯლისზე ყველა მისი მსხვერპლი ხდება - პატარა ეშმაკუნებიც კი.

***

ამის კლასიკური მაგალითია რჩეულიშვილი-გოგუაძის სპიკერატული დუეტის გაკოტრება. თუ ოდიოზური ჯაბა იოსელიანი, ბუშლატით თუ ბაფთით, რა ხანია აფუჩებდა "ახალი წესრიგის" არქიტექტურულ ფასადს, ერთის შეხედვით, გაუგებარი სჩანს - ვის რაში უშლიდა ხელს კომპარტიული პროფესორი, ან ჭაღარა და სიმპათიური ავია-ბიზნესმენი. თვითონ ამას ვერასოდეს მიხვდებიან ისევე, როგორც იმას, თუ რატომ არ გაჭრა ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილმა ფოტოშედევრმა - "მხოლოდ შენ ერთს", საუკუნის სამი გენიის - რჩეულიშვილის, შევარდნაძისა და გალაკტიონის აფორიზმებით?

პასუხი ისევ მარტივია: სისტემა მტკიცდება და თავის ძველ, გამოცდილ კადრებს იბრუნებს. ინფანტილური დილეტანტიზმი მას არ სჭირდება. არსებითად კი, ვინ არის დამნაშავე, თუკი თავად ვერ ხედები, რომ გატყუებენ და საარჩევნო კამპანიაზე დახარჯული 50 ათასი დოლარი ქარს გაატანე. ბოლოს და ბოლოს, ყველამ თავისი ამპლუა უნდა მონახოს, თორემ ჩვენი პაროდიული სენატორები, როკფელერები და ალ კაპონეები ერთმანეთში ურევენ ფუნქციებს და ყველაფერს ერთდროულად ეპოტინებიან. ასე დემოკრატია ვერ აშენდება. სისტემას კი მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი - ნებისმიერი მსხვერპლის, სისხლის, სისასტიკის ფასადააშენოს დემოკრატია. ამისთვის მას გამოცდილება და ენერგია სჭირდება და არა პრეტენზიული ელიტარული ბომჟები.

***

ადამიანებს უჭირთ თავიანთი სისუსტის აღიარება, უჭირთ აღსარება, მონანიება... უჭირს სინდისიერსაც კი. უსინდისოს და ლაქიას არასოდეს არ უჭირს სისტემის საკურთხეველზე მიიტანოს სული, მისი დიდებისთვის გააკეთოს ის, რასაც არასოდეს გააკეთებს ღმერთისა და ჭეშმარიტებისთვის. არჩევანი რა ხანია შედგა, არჩევნებმა მხოლოდ საბოლოოდ გააფორმა ორი მხარის, ორი გზის, ორი იდეის შეურიგებლობა: ჰო და არა, თანხმობა და უარყოფა. ყველაფერი, რაც მათ შორისაა - ყალბი და ფუჭია.

ახლოვდება ჟამი და ჩვენ უსაშველოდ ვაგვიანებთ. დამთავრდა ქვეყნისა და ჩვენი ცხოვრების კიდევ ერთი ეტაპი. ვინ დაიჭირეს, ვინ გააგდეს, ვინ გადააგდეს... წრე შეიკრა და უკვე შეიძლება გარკვეული შედეგების შეჯამება, ფიქრი, განსჯა, აღსარება... ეს ჯერ კიდევ ნებადართულია - ჯერ კიდევ.

*ანა ჭავჭავაძე*

# წინასაარჩევნო მკვლელობა სოფელ ორსანტიაში

არჩევნების წინა პერიოდში საარჩევნო პლაკატებით აჭრელებულ ზუგდიდში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ფორმიანი და სამოქალაქო ტანსაცმლიანი შინაგანი ჯარის მოხელეები, ზემდგომი ხელმძღვანელობის დავალებით, დაძრწოდნენ ზუგდიდსა და მის გარეუბნებში და, როგორც ყოველთვის, შესაშურ აქტიურობას იჩენდნენ ე.წ. ზვიადისტების ლანძღვა-გინებასა და დარბევაში. იმ დღეებში "ზვიადისტებზე" განსაკუთრებული ნადირობა იყო გამოცხადებული. მიაკითხეს ოჯახებში ყველას, "ჭკუა ასწავლეს", მაგრამ ის, რაც მათ ჩაიდინეს 2 ნოემბერს ზუგდიდის რ-ნის სოფ. ორსანტიაში - ყველა ზღვარს სცილდება.

2 ნოემბერს, დილაუთენია, შეიარაღებული პოლიციელები შვიდი მსუბუქი მანქანით შევიდნენ სოფ. ოქტომბერში და მიადგნენ ზაზა პერტახიას ოჯახს. ზაზა სახლში არ დახვდათ. იგი ცოლ-შვილით სიმამრის სახლში, სოფ. ორსანტიაში იმყოფებოდა. მომხდურნი შემოიჭრნენ ეზოში, ატეხეს აურზაური, სროლა, მთელი სოფელი ფეხზე დააყენეს. ზაზას დედამ და დამ იცნეს ერთ-ერთი პოლიციელი, ის, ვინც ყველაზე მეტად აქტიურობდა (მათი ცნობით, ის ზუგდიდელია). მან სახლში შესვლისას პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სურათი შენიშნა კედელზე დაკიდებული, მიიჭრა, ჩამოგლიჯა და უშვერი ლანძღვა -გინებით იატაკზე დაანარცხა. ზაზას დედას კი დაემუქრა: "შენს შვილს ჩემი ხელით შუბლს გავუხვრეტ". ზაზას ადგილსამყოფელის საჩვენებლად ძალდატანებით გაიყოლიეს მისი ბიძა. გაემართნენ სოფ. ორსანტიას მიმართულებით. ზაზას დედა და და მაშინვე აედევნენ მათ.

დილის 8 საათზე სოფ. ორსანტია გააღვიძა ძლიერმა სროლამ.

ზაზას მწოლიარეს წაადგნენ თავზე გამძვინვარებული პოლიციელები. ზაზას იარაღი არ ჰქონდა და წინააღმდეგობა არ გაუწევია. იგი საცვლებისამარა გადაევლო მოაჯირს, თუმცა შორს გაქცევა ვერ მოასწრო. ზაზას და მივარდა ერთ-ერთ პოლიციელს და შეევედრა - "ნუ მომიკლავთ ძმასო". ზაზას მეუღლემ დააპირა მისი წაშველება, "არ ესროლოთ, აიყვანეთ და არ მოკლათო", მაგრამ უცებ პოლიციის მწკრივიდან იქუხა ტყვიამ და ზაზას ზურგში მოხვდა.

ამასობაში ხალხი მოგროვდა. გამწარებულმა სოფელმა გაიწია მოძალადეებისკენ. ისინი შეშინდნენ და თავს გაქცევით უშველეს.

მესამე დღეს ორსანტიელები, ოქტომბრელები და გარდაცვლილის ნათესავები მიადგნენ ქ. ზუგდიდის პოლიციის შენობას და მოითხოვეს მკვლელის დაპატიმრება. ზაზას მშობლებს, ნათესავებს, დაჰპირდნენ, რომ დაკრძალვამდე გამოავლენენ და დასჯიან მკვლელს, თუმცა იგი დღესაც თავისუფლად დადის.

*ლ. თორია*

ქ. ზუგდიდი, 18.11.95 წ.

# რა გვიჩვენა არჩევნებმა

მაშ ასე, საქართველოში ჩატარდა მორიგი არჩევნები. უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ საქართველოში კვლავ ვერ ჩატარდა თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები, მაგრამ შემდგარმა ფარსმაც კი იმდენი პრობლემა და სატკივარი გამოააშკარავა, რომ მათი გულდასმით გაანალიზება საჭიროცაა და აუცილებელიც.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ამ არჩევნებმა მოახდინა, არის ის, რომ კიდევ ერთხელ (მერამდენედ) დავრწმუნდით საქართველოს დღევანდელ ხელისუფალთა ანტიდემოკრატიულ და ანტიეროვნულ არსში. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შედეგებმა არაფრით გაგვაოცა და ფაქტობრივად წინასწარვე ნათელი იყო რეზულტატი, არის ერთი ასპექტი, რომლის უსიამოვნო განცდას ჩვენ ვერსაით წაუვალთ. ამიტომ, აუცილებელია მასში გარკვევა და მისგან გამომდინარე საკუთარი პოზიციების შეფასება თუ ხელახალი გადაფასება.

საკითხი ეხება ეროვნული მოძრაობის ერთი ნაწილის მონაწილეობას არჩევნებში და მეორე ნაწილის მიერ არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადებას. ამ ორ ბანაკს შორის წინასაარჩევნო პერიოდში დაწყებული პოლემიკის მწვავე ხასიათი, რატომღაც, არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ბრალდებების და პრეტენზიების ნაკადი სწორედ არჩევნებში მონაწილე ხელმოცარული პირების მხრიდან მოდის. ისინი ბრალს სდებენ ბოიკოტის მომხრეებს ღალატში, ერთობ საეჭვო მიზნებში და ხელისუფლებასთან ალიანსშიც კი.

რეალობა კი სულ სხვაგვარია. არჩევნებში მონაწილე პირთა და ორგანიზაციათა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდა არჩევნებში მათ მიერ რეალურად მიღებული ხმების მოპარვა და გაყალბება. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ხალხი მიიყვანეს არჩევნებზე. ეს არის ხელისუფლებისადმი მკვეთრად ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობა. ამდენად, პრეტენზიები შეიძლება მხოლოდ ბოიკოტის მომხრეებს ჰქონდეთ, და ექნებათ კიდეც, რომელთა რიგებსაც გამოაკლდა ამომრჩეველთა ეს არცთუ მცირე ნაწილი. ბოიკოტის იდეა არც დღეს გაჩენილა და არც ამ არჩევნების შემდეგ კარგავს თავის აქტუალობას. ეს არის ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური, მშვიდობიანი მეთოდი და არა რაიმე ახირება. უკეთეს შემთხვევაში, იგი მმართველი ტირანიის საქვეყნო მხილებასა და მის პარალიზებას იწვევს, ხოლო განუხორციელებლობის შემთხვევაში კი, სიყალბესა და ძალადობის პროცესში არმონაწილეობას გულისხმობს.

ნათლად გამოჩნდა ის, რომ ბოიკოტი, რომლის არარეალობაზე და განუხორციელებლობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ მავანნი არჩევნების წინ, თურმე საკმაოდ რეალური იყო. პირობებში, როდესაც ყველანაირად იქმნებოდა სამართლიანი არჩევნების ჩატარების ილუზია, როცა ხდებოდა შთაბეჭდილების შექმნა, რომ შევარდნაძეს ჰყავს რეალური ოპოზიცია, როცა საარჩევნო კამპანიაში ეროვნულ ძალთა ნაწილიც იქნა ჩათრეული, ის ფაქტი, რომ ამომრჩეველთა 35%-მა თავი შეიკავა არჩევნებში მონაწილეობისგან (თუმცა, სავარაუდოა, რომ ეს ოფიციალური მონაცემიც გაყალბებულია და არ ასახავს მოსახლეობის საბოიკოტო განწყობის რეალურ სურათს), მიუთითებს ამ ხალხისთვის საქართველოს დღევანდელი რეჟიმის აბსოლუტურ მიუღებლობაზე; ეს ნიშნავს, რომ ვერანაირი დაპირებებითა თუ მუქარით ხელისუფლება ვერ აიძულებს მას უღალატოს თავის მრწამსს. ეს არაა მცირერიცხოვანი არმია; ესაა ანგარიშგასაწევი ძალა, რომლისაც ეშინია ხელისუფლებას და ეს შიში კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ არჩევნებმა.

რაც შეეხება ამომრჩეველთა ხმების გაყალბებას. არსებულ პირობებში საარჩევნო ყუთებთან ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი უფრო მეტი ამომრჩევლის მისვლა გამოიწვევდა უფრო მეტი ადამიანის გაწბილებას და მეტს არაფერს. რაღა თქმა უნდა, ეს ფაქტი არავისთვის მოულოდნელი და გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე; ხოლო თუკი ვინმესთვის იგი ასეთად ჩანს, ეს ამ პირთა, სულ ცოტა, უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

არჩევნებამდე, ვინ მოთვლის, რამდენჯერ ითქვა, რომ ხელისუფლება გააყალბებს თავისთვის არასასურველ შედეგებს; იგი არ დაუშვებს რეალური, ძლიერი ოპოზიციის არსებობას პარლამენტში და რომ ეროვნულ ძალებს დღეს არ შესწევთ ძალა არსებული რეალობის შეცვლისა არჩევნებში მონაწილეობის გზით. სხვათა შორის, საქართველოში შექმნილ ამ ვითარებას აღნიშნავდნენ უცხოელი ექსპერტებიც, რომელთაც შეისწავლეს საქართველოში წინასაარჩევნო მდგომარეობა. ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ საქართველოში არსებობს საშიშროება არჩევნების გაყალბებისა და მოუწოდებდნენ ჩამომსვლელ საერთაშორისო დამკვირვებლებს ყურადღება გაემახვილებინათ საარჩევნო პროცედურის შესაძლო დარღვევებზე (ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტისა და ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის დასკვნა საქართველოში წინასაარჩევნო მდგომარეობის შესახებ).

ნუთუ ხელისუფლების კეთილგანწყობის იმედი ჰქონდათ არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ ორგანიზაციებს? და თუ არა, მაშ რის იმედად მიჰყავდათ ხალხი საარჩევნო უბნებში; რა ჰქონდათ არჩევნების გაყალბების შემთხვევისთვის კონტრარგუმენტად. თუკი მხოლოდ შავი ცხვირსახოცები და აღშფოთებულის პოზა, მაშინ რა არის ეს, თუ არა უპასუხისმგებლობა. ნურავინ იფიქრებს, რომ ვინმეს ამ შემთხვევაში ღვარძლი ალაპარაკებდეს. ეს იმდენად სერიოზული საკითხია, განსაკუთრებით მისი შედეგებიდან გამომდინარე, რომ იგი სცილდება ამა თუ იმ პიროვნების მართებული თუ უმართებულო ქმედების ფარგლებს. ხალხი, რომელიც ენდო თავის ავტორიტეტთა მოწოდებას და ფაქტობრივად კომპრომისზე წავიდა მისთვის არასასურველი ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობით, დარჩა მოტყუებული, კიდევ ერთხელ ღირსებაშელახული და შეურაცხყოფილი. ეს გრძნობები, მით უმეტეს თავისი ლიდერების უსუსურობის ფონზე, ხალხში იმედგაცრუებასა და საკუთარი არასრულფასოვნების განწყობას თესავს. სწორედ ესაა დღევანდელი ხელისუფლების მიზანი და ამას უნდა ვებრძოლოთ უპირველეს ყოვლისა.

კომპრომისი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მისაღები და ამდენად გამართლებული, როდესაც მას რეალური არგუმენტი ან რაიმე ძალა უმაგრებს ზურგს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპრომისიდან კოლაბორაციონიზმამდე ერთი ნაბიჯია.

წინამძღოლობა ზოგადად და განსაკუთრებით კი ერის წინამძღოლობა პრივილეგია არაა და მით უფრო არაა საშუალება. ტირანიასთან ბრძოლა მხოლოდ იმის იმედით, რომ სადღაც წალენჯიხაში თუ თამარაშენში უბრალო, ალალ-მართალი გლეხი კბილებით დაიცავს შენს უფლებას, ვერაა მთლად ღირსეული საქმე. ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია. ხალხმა გააკეთა ის, რასაც მისგან მოითხოვდნენ და ყველანაირი პრეტენზია და საყვედური მისი მისამართით სრულიად გაუგებარია.

ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ხალხი, რომელიც წავიდა არჩევნებზე, ხმას აძლევდა არა რომელიმე პიროვნებას, არამედ იდეას. იმ იდეას, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ჰქვია. ეს ფაქტობრივად არის ერის ბრძოლისუნარიანობის კაპიტალი, რომლის დაგროვებასაც მთელი თაობების ძალისხმევა მოხმარდა და მრავალი ადამიანის სიცოცხლეც შეეწირა. ეს არის განძი, რომლის მესაკუთრეა მთელი ერი და მისი ფუჭად განიავების უფლება არავის აქვს.

*თ. რეხვიაშვილი*

ყველაზე დიდ პრობლემას არჩევნების მეორე ტურის ჩასატარებლად წარმოადგენდა ისედაც პასიური ამომრჩევლის მიყვანა საარჩევნო უბნებში. ამიტომ, დეპუტატობის კანდიდატებმა გადაწყვიტეს თავად მომსახურებოდნენ თავიანთ ამომრჩევლებს და დაქირავებული ავტობუსით მიეყვანათ ისინი ხმის მისაცემად.

მაგალითად, ჩუღურეთის №17 საარჩევნო ოლქში, სადაც წარმოდგენილი იყო ვახტანგ რჩეულიშვილისა და ნიკოლოზ ვანიშვილის კანდიდატურები, პი-

IGFM-ის მიერ [illegible] დამკვირვებელი, ქ-ნი იზოლდა ლომაძე.

ვახტანგიშვილის დაკავების მომენტში საგზაო პოლიციის თანამშრომელმა განუმარტა დამკვირვებლებს, რომ ასრულებს საგზაო პოლიციის თბილისის სამართველოს უფროსის, ჩარგეიშვილის ბრძანებას, ხოლო ჩუღურეთის რაიონულ განყოფილებაში პოლიციის თანამშრომელი კოპაძე აცხადებდა, რომ აქცია განხორციელდა ანონიმური ზარის საფუძველზე (?!) - მათ მიიღეს ინფორმაცია, თითქოს №17 უბანში ეწევიან აგიტაციას ვანიშვილის სასარგებლოდ. კანონის დამ-

# უფასო ექსკურსია საარჩევნო უბანში

რეველმა თავის მხარდამჭერებს "რაფ"-ის ტიპის მიკროავტობუსები გამოუყო (ერთერთის ნომერია Ф 63-93 ГГ), ხოლო მეორემ - "ლაზ"-ის ტიპის ავტობუსი. ასეთივე უფასო მომსახურეობა შესთავაზა ამომრჩევლებს ნანა დევდარიანმა, რომელიც მთაწმინდის №1 ოლქში იყრიდა კენჭს.

რატომღაც, წინააღმდეგობას მხოლოდ 27-ე პოლიკლინიკის მთავარი ექიმის - ნიკოლოზ ვანიშვილის ამომრჩევლები წააწყდნენ. დღის 12 საათზე ჩუღურეთის №17 საარჩევნო უბანში დაკავებულ იქნა ავტობუსის მძღოლი ვახტანგიშვილი, რომელმაც ლიხის ქუჩიდან მოიყვანა უბანში ამომრჩევლები. ვინმე ემზარ კოდუამ, რომელმაც დამკვირვებლებს თავი წარუდგინა როგორც ბლოკის "პროგრესი" წევრმა, რჩეულიშვილის მხარდამჭერმა, საბუთები ჩამოართვა ავტობუსის მძღოლს (?!). 15 წუთის შემდეგ უბანს მოადგა ჩუღურეთის პოლიციის განყოფილებისა და საგზაო პოლიციის შენაერთი, რომელმაც ბ-ნი ვახტანგიშვილი პოლიციაში წაიყვანა "საკითხის გასარკვევად". ლიხის ქუჩის მცხოვრებლები, რომელთაგან ნაწილს უკვე ჰქონდა ხმა მიცემული, ხოლო ნაწილს - არა, თან წაყვნენ ავტობუსის მძღოლს. პოლიციის ჩუღურეთის რაიონის განყოფილებაში გაემართნენ ჩვენი დამკვირვებლებიც და ცველებს თურმე სურდათ გაერკვიათ, რატომ იყო სარეისო ავტობუსი მოხსნილი ხაზიდან, თუმცა ჯერ კიდევ საარჩევნო უბანთან საგზაო პოლიციამ გაარკვია, რომ ავტობუსი, რომლის საჭესთანაც ბ-ნი ვახტანგიშვილი [illegible] კერძო გახლდათ და არა [illegible].

12.30 საათზე ჩუღურეთის რ-ნის პოლიციაში მოულოდნელად მოვიდა ვახტანგ რჩეულიშვილის მამა, რომელიც მისი ნდობით აღჭურვილი პირიც ყოფილა, და განმარტოვდა პოლიციის უფროს არჩილ ფოლადიშვილთან ერთად. დაახლოებით 13 საათისთვის, საკითხის გარკვევის შემდეგ, მძღოლიც და ამომრჩევლებიც გაათავისუფლეს. თუმცა ამ ინციდენტის შესახებ უკვე მთელმა უბანმა შეიტყო და, საეჭ ოა, ამ ფაქტს გავლენა არ მოეხდინა ამომრჩევლებზე.

საღამოს 19 საათისთვის ბ-ნ შალვა რჩეულიშვილს კვლავ შეხვდნენ დამკვირვებლები №19 უბანში და შეიტყვეს მისგან, რომ ავტობუსის მძღოლი ვახტანგიშვილი კვლავ იქნა დაბარებული პოლიციაში და მან თურმე აღიარა, რომ ვანიშვილის მხარდამჭერი იყო.

გაურკვევია მხოლოდ, რა ბედი ეწია რჩეულიშვილის მხარდამჭერ, ყვითელი მიკროავტობუსის მძღოლს.

# განსასჯელთა სკამზე ზაურ ქობალია

16 ნოემბერს უზენაეს სასამართლოში განიხილდა "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" მონაწილეთა გასამართლება. ამჯერად განსასჯელთა სკამზეა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე - ზაურ ქობალია. მას ბრალი ედება სამშობლოს ღალატსა და ბანდიტიზმში (დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 65-ე და 78-ე მუხლებით, ითვალისწინებს 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ან სიკვდილით დასჯას). როგორც მოსალოდნელი იყო, საქმე გასარჩევად გადაეცა პოლიტიკურ ოპონენტებთან ურთიერთობაში უკვე გამოწრთობილ მოსამართლე ლერი საყვარელიძეს, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ წარმატებით დაასრულა "პრეზიდენტის საქმის" მონაწილე ინვალიდების - ზურაბ ბარძიმაშვილისა და ომარ კოჭლამაზაშვილის სასამართლო პროცესი. სახელმწიფო ბრალმდებლად კი ვიხილეთ ვალტერ შურღაიასა და გოჩა ოთხოზორიას სასამართლო პროცესიდან ჩვენივის კარგად ცნობილი - გივი ხაბაშვილი.

როგორც შევიტყვეთ პოლიტპატიმრის ადვოკატის - თემურ გოქაძისგან, ზაურ ქობალიას, რომელიც დააპატიმრეს 1994 წლის 26 იანვარს, მთელი წინასწარი ძიების პერიოდში არ მიუცია არც ერთი ჩვენება, ხელი არ მოუწერია გამოძიების მიერ წარდგენილ არც ერთ დოკუმენტზე და არ ცნობს თავს დამნაშავედ.

16 ნოემბრის სხდომის გახსნის შემდეგ, სასამართლო შემადგენლობის აცილებასთან დაკავშირებით ზაურ ქობალიამ განაცხადა, რომ წარმოადგენს კანონიერ ხელისუფლებას და ერთადერთი ორგანო, რომელიც კანონიერი ხელისუფლების მიერაა დანიშნული - უზენაესი სასამართლოა: "ფაქტიურად, თქვენ ჩემს მიერ ხართ დანიშნული, ჩვენს ხელისუფლებას უკანონოდ აცხადებენ და იგი იარაღის ძალით დაამხეს... აქედან გამომდინარე, მე დასკვნებს არ გავაკეთებ და ჯერჯერობით ამ ეტაპზე აცილების საკითხს არ ვსვამ."

ზაურ ქობალიას საქმე შედგება 28 სქელტანიანი ტომისგან, რომლის გაცნობას ადვოკატმა ორთვენახევარი მოანდომა. თავად პოლიტპატიმარი ძიების დროს საქმეს არ გასცნობია, ამიტომ მან მოითხოვა დრო საქმის გასაცნობად.

27 ნოემბერს, მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელის ადვოკატი ობიექტური მიზეზების გამო არ გამოცხადებულა, სასამართლო სხდომა გაგრძელდა. თავად პოლიტპატიმარს არაფერი ჰქონდა ამის საწინააღმდეგო. "ჩემი მთავარი ადვოკატი ღმერთია", - განაცხადა მან. სასამართლო კოლეგია შეუდგა საბრალდებო დასკვნის კითხვას, რომელიც, ფაქტობრივად, აერთიანებს 1992 წლიდან დღემდე როგორც რესპუბლიკის პროკურატურის მიერ, ისე ფოთის, ხონის, წყალტუბოს, ლანჩხუთის, ოზურგეთის პროკურატურათა მიერ 1993 წლის ოქტომბრის თვეში აღძრულ საქმეებს.

ნიშანდობლივია, რომ საბრალდებო დასკვნაში 1992 წლის 24 ივნისს ტელევიზიის შენობის აღების ფაქტთან დაკავშირებით კანონიერი ხელისუფლების მომხრენი მოიხსენიებიან როგორც დამნაშავენი, თუმცა ამ საქმის გამოძიება იმავე წლის ზაფხულში შეწყდა, სასამართლო არ ჩატარებულა და, ამდენად, ვის რა დანაშაული მიუძღვის ხსენებულ ეპიზოდში, არ დადგენილა. თავად ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში პოლიტპატიმრების მიმართ განაჩენი უკვე ძიების დაწყებამდეა გამოტანილი.

*ნინო ჩეჩელაშვილი*

# საით წავა "სამართლიანი არჩევნები"

საერთაშორისო საზოგადოებამ "სამართლიანი არჩევნები" გაავრცელა განცხადება მათ მიერ 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებზე წარმოებული დაკვირვების შედეგების შესახებ. ესაა 1200-ზე მეტი ადგილობრივი დამკვირვებლის მიერ 986 საარჩევნო უბანზე მოპოვებული ინფორმაციის მოკლე შეჯამება.

განცხადება უფრო ზოგადი ხასიათისაა და, როგორც აღნიშნულია, პირველადი შთაბეჭდილების სახეს ატარებს. ამდენად, მასში არც კონკრეტული ფაქტებია მოცემული, მხოლოდ ჩამოყალიბებულია წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების დროს დაშვებულ დარღვევათა სახეობები. მათ შორის დაფიქსირებულია კანონიდან სერიოზული გადახრები კენჭისყრისა და ხმების დათვლის დროს. მაგალითად, ზედმეტი ბიულეტენების გაცემისა და ყუთში ჩაყრის, ბიულეტენების წინასწარ შევსების, უბნებში დამკვირვებლების არდაშვებისა და პოლიციის მიერ მათი განდევნის ფაქტები, ხმის დათვლის შემდეგ ბიულეტენების გაფორმებისა და შეკვრის წესის დარღვევა, ამომრჩეველთა სიების შედგენისას დაშვებული დარღვევები, ხმის დათვლის პროცედურის გაჭიანურება, მათში ხელისუფლებისა და პოლიციის წარმომადგენელთა მონაწილეობა, საოლქო კომისიებისა და ცსკ-ს მხრიდან საჩივრების უგულებელყოფის შემთხვევები და სხვა.

ამდენად, "სამართლიანი არჩევნები" აღიარებს, რომ 5 ნოემბერს ადგილი ჰქონდა დარღვევებს. მიუხედავად ამისა, განცხადება აშკარად ტოვებს დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, ვინაიდან მასში არ არის ნათქვამი მთავარი: რამდენად მასშტაბური იყო ეს დარღვევები, შეიძლება თუ არა, მათ ზეგავლენა მოახდინონ არჩევნების საბოლოო შედეგებზე და, ზოგადად, როგორ აფასებს ორგანიზაცია არჩევნებს - როგორც დემოკრატიულ და სამართლიან პროცედურას, რომელსაც ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, თუ კანონის მასიური დარღვევებით ჩატარებულ აქციას, რომლის შედეგებიც არ გამოხატავს მოქალაქეთა რეალურ დამოკიდებულებებს. აშკარაა, რომ "სამართლიანი არჩევნების" მესვეურნი ჯერჯერობით გაურბიან ამ კითხვებზე პასუხს. საკითხავია მხოლოდ, რა მიზეზით.

თავისთავად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოში შეიქმნა ადგილობრივ დამკვირვებელთა არასამთავრობო სტრუქტურა, რომელსაც, ეფექტური და ობიექტური მუშაობის შემთხვევაში, შეუძლია შეიმუშავოს ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების საკმაოდ მძლავრი მექანიზმი.

სხვადასხვა აზრი არსებობს იმაზე, თუ რამდენად მოწადინებულია თავად ეს ინსტიტუტი გახდეს სწორედ საზოგადოებრივი ინტერესების რეალური გამომხატველი და არა სამთავრობო კონტროლის ქვეშ მყოფი მორიგი სტრუქტურა არასამთავრობო ფასადით. სკეფსისის საფუძველი, უდავოდ, არსებობს, თუნდაც იმიტომ, რომ "სამართლიანი არჩევნების" დამფინანსებელია კარგად ნაცნობი ამერიკული ორგანიზაცია - ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტი (NDI), რომელმაც 1992 წლის არჩევნებიც კი დემოკრატიულად და სამართლიანად მიიჩნია.

არჩევნები ამ მხრივ სერიოზული გამოცდა იყო "სამართლიანი არჩევნებისთვის", რომლის პრესტიჟი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა პასუხს გასცემს მთავარ შეკითხვებს თავის საბოლოო და სრულყოფილ დასკვნაში.

*მამუკა ტუსიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური ოპონენტების დევნა გრძელდება

1995 წლის 12 ნოემბერს, დღის 10 30 წთ. გაზეთ "სამრეკლოს" რედაქ-რის, ბ-ნ ელიზბარ ჯაველიძის სა-ში მივიდნენ პოლიციისა და პროკუ-ტურის თანამშრომლები. ჯაველიძის აში ამ დროს იყვნენ რედაქციის თა-შრომლები: მამუკა წიკლაური, რევაზ უშაძე და პაატა ფეიქრიშვილი.

პოლიციისა და პროკურატურის თა-შრომლები განლაგდნენ სადარბაზოში, ივე სართულის კიბის ყოველ სა-ურზე. სახლის მიმდებარე ქუჩები გა-ვეტილი იყო პოლიციის მანქანებით მთელ ტერიტორიაზე მიმოდიოდა მოციოდე პოლიციელი.

მიქაძის მოადგილემ - ლამბაშიძემ - ალდების, ჩხრეკისა და დაკავების ორ-რის წარდგენის გარეშე დააპატიმრა იზბარ ჯაველიძე და მასთან მყოფი დაქციის თანამშრომლები. ჯაველიძე იყვანეს პოლიციის სამმართველოში და ასწარი პატიმრობის საკანში ჩასვეს, ლო დანარჩენები - მთაწმინდის რა-ნის პოლიციაში.

ჯაველიძის მეუღლე, ქ-ნი ნინო შინ იყო. იგი თავის მეუღლეს შეხვდა ბზე, როცა პოლიციელებს ქვევით ოჰყავდათ. ქალბატონი ნინოს შეკი-ვაზე, რისთვის დააპატიმრეს მისი მე-ლე, ლამბაშიძისგან პასუხად მიიღო ვაზიანი მიპატიჟება პოლიციის სამ-რთველოში.

ქ-ნ ნინოს ბინაში დახვდა სამი პო-იციელი. ერთ-ერთი იყო მთაწმინდის ლიციის განყოფილების უფროსის, ჯა-ურიას მოადგილე, რომელმაც მისგან ო ნებართვა ოფიციალური ორდერის ტანამდე დაეწყოთ ჩხრეკა. ჩხრეკის მდინარეობის დროს სამ პოლიციელს ემატა კიდევ ოცი. ჩხრეკას ესწრე-დნენ ჯაველიძის ორი ვაჟიშვილი და რი მეზობელი. ეს პროცედურა სამი ათის განმავლობაში გრძელდებოდა.

ჩხრეკის დროს მთაწმინდის რაიონის ნყოფილების უფროსის მოადგილემ ორ-ერ გადარეკა განყოფილებაში. პირვე-ად - ინსტრუქცია ითხოვა კომპიუტ-რთან დაკავშირებით, მეორედ - გა-არკვია, როგორ უნდა მოქცეულიყო ზვიად გამსახურდიას წერილებთან დაკავშირებით. კომპიუტერი დალუქეს და განყოფილებაში წაიღეს, პრეზიდენტის წერილები კი, როგორც ოჯახის რელიქვია, ქალბატონი ნინოს დაჟინებული მოთხოვნით, დატოვეს ოჯახში.

წაიღეს ბ-ნი ჯაველიძის ვადაგასული დიპლომატიური და საერთაშორისო პასპორტები, საქართველოს განათლების მინისტრობის, მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა კავშირის წევრობის დამადასტურებელი პირადობის მოწმობები; პოლიტემიგრანტის, ბ-ნი გიორგი ქართველიშვილის ისრაელიდან გამოგზავნილი სტატია, რომელიც გაზეთ "სამრეკლო"-ში უნდა დაბეჭდილიყო. აგრეთვე წაიღეს ოქმი, რომელშიც აღნიშნული იყო სხვადასხვა პიროვნებების მიერ გამოთქმული აზრი არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ.

სამი საათის შემდეგ, როცა ჩხრეკა დაამთავრეს, მოიტანეს ჩხრეკის ორდერი, სადაც ეწერა: "არის ცნობები, რომ ჯაველიძის ოჯახში ინახება ცეცხლსასროლი იარაღი და ანტისამთავრობო მასალები." ქალბატონი ნინოს შენიშვნაზე - საგაზეთო პუბლიკაციები ხომ არ იგულისხმება ამ ანტისამთავრობო მასალებშიო, - უპასუხეს, რომ აქ იგულისხმებოდა პროკლამაციები. არც ერთმა პოლიციელმა არ იცოდა, ვინ აწერდა ხელს ჩხრეკის ორდერს.

ოჯახში დატოვეს ჩხრეკის შემდეგ შედგენილი ოქმის ასლი, რომელსაც ხელს აწერენ პოლიციელები, ქალბატონი ნინო და ორი მეზობელი.

პოლიციის სამმართველოში ბატონ ელიზბარს წაუყენეს ბრალდება - შეიარაღებული გზით ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება. საუბრისას გამოითქვა უკმაყოფილება "სამრეკლოს" შინაარსის გამო.

ოჯახმა არაოფიციალური წყაროებიდან შეიტყო, რომ ბატონ ელიზბარ ჯაველიძის დაპატიმრების სანქციას ხელს აწერს მიქაძის პირველი მოადგილე - ზამბახიძე.

# შიმშილობა №1 საგამოძიებლო იზოლატორში

**სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი კერვალიშვილს თბილისის №1 საგამოძიებლო იზოლატორში მყოფ სამხედრო ტყვეთა**

## განცხადება

მოვითხოვთ ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ გამოტანილი უკანონო განაჩენის უქმებას სიკვდილმისჯილი პატიმრების, პეტრე გელბახიანისა და ირაკლი დოკვაძის მართ, რომელთა სასამართლო პროცესზე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ აფიქსირებულია კანონის უხეში დარღვევა.მოვითხოვთ სამართლიანი, მიუკერ-ოებელი, ხელახალი გამოძიების ჩატარებას.

ჩვენ ვუერთდებით მათ მიერ ა.წ. 24 ოქტომბერს გამოცხადებულ საპროტესტო იმშილობას და სოლიდარობის ნიშნად თავადაც ვაცხადებთ მშრალ შიმშილობას.

გთხოვთ, ჩვენი მოთხოვნა გაავრცელოთ მსოფლიოს ადამიანის უფლებათა დაცვის, პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციებში.

*ეროვნული გვარდიის უფროსი მაიორი*
*ბადრი ზარანდია*
*გაბრიელ ბენდელიანი*

# გლდანის ეკლესიაში დაძაბულობა გრძელდება

გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიაში მოვლენები კვლავ დაიძაბა. ახლად დანიშნული მღვდლები ისეთ ღვ-თის საგმობ და სამარცხვინო საქმეებს ჩადიან, რაც საქართველოს ეკლესიის ისტორიაში არც წაგვიკითხავს და არც ამბად გვსმენია. მათ გლდანის ეკლესიის ტერიტორიიდან კვირას, უქმე დღეს, როცა მიწაზე მუშაობა უფლის ათი მცნებიდან ერთ-ერთით აკრძალულია, ამოძირკვეს 120 ძირი ხუთწლიანი ეკლესიური ნერგები, მათ შორის 25 ძირი ბზა, რომელთაც გლდანის მოსახლეობა საკუთარი შეილივით უვლიდა.

ამა წლის 19 ნოემბერს ეკლესიიდან გამოდევნილი მამა ბასილის მრავალრიცხოვანი მრევლი, მოსალოცად შევიდნენ გლდანის ეკლესიის ეზოში. უმეტესობა მოხუცებული და ხანდაზმული ქალები და ბავშვები იყვნენ. მღვდელმა, მიხეილ ასათიანმა მრევლს ხის ჯვარი წაართვა და სახალხოდ ფეხზე გადაიმტვრია, ხოლო ამ ამბით აღშფოთებულ მოხუცებულ ქალს სახალხოდ სცემა. ამ უგუნურ ამბავს უყურებდა ეკლესიის ეზოში მყოფი ხალხი, გლდანის მოსახლეობა და უბრალო გამვლელები.

გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიის მრევლი აღშფოთებული და შეურაცხყოფილია მიხეილ ასათიანის საქციელით. ეკლესიის მსახურის მხრიდან ასმაგად შეუწყნარებელია ჯვრის ხელყოფა. სასულიერო პირის ამგვარი ულირსი ქმედება შეუფერებელია ქართული მართმადიდებელი ეკლესიის სიწმიდით და სათნოებით სავსე ტრადიციისთვის.

**გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიის მრევლი:**

ნ. ბურდული, ხ.ხიზამბარელი, ლ.დავითაია, ი.ფოფხაძე, თ.ასლანიშვილი, ლ.ხონელიძე, მ.ზერდიაშვილი, ტ.დიაკონიძე, ნ.ჭელიძე, ქრეხვიაშვილი, ნ.გიგინეიშვილი, ნ.შარტავა, მ.ხონელიძე, ქ.გაბიტაშვილი, მ.ნემსიწვერიძე, ნ.ქვათლაძე, შ.ჯახუა (სულ 64 ხელმოწერა).

**ჯონათან სანლი**

**საერთაშორისო მეთვალყურე, დიდი ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის წევრი, პასუხობს ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვებს**

კორესპონდენტი: - თქვენ საქართველოში ჩამოხვედით არჩევნებზე მეთვალყურეობის მისიით. რისი ნახვა და გაცნობა გაინტერესებთ უპირველეს ყოვლისა?

ჯონათან სანლი: - საქართველოში ჩამოვედი დამკვირვებელთა დელეგაციასთან ერთად, რომელიც დიდი ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფმა მოავლინა არჩევნებზე დასასწრებლად. ამ ჯგუფმა უკვე მრავალგზის მიიღო მონაწილეობა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების ტერიტორიებზე ჩატარებულ არჩევნებში. ზოგიერთ მათგანს თავად მეც დავესწარი. ბოლო დროს გახლდით კავკასიაში, კერძოდ, სომხეთსა და აზერბაიჯანში, და პირადად ჩემთვის საინტერესო იყო "ამიერკავკასიის თავსატეხის" მესამე ნაწილის ამოცნობა. განსაკუთრებით დაინტერესებული ვიყავი საქართველოში ჩამოსვლით, ვინაიდან აქ უკვე ნამყოფი ვარ 1986 წელს. რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს იმდროინდელი საქართველო, საუკეთესო მოგონებები მაქვს ამ ქვეყანაზე, თბილისზე. ვინაიდან იმხანად ეს ყველაფერი საბჭოთა სისტემის განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა, ბუნებრივია, ჩემთვის საინტერესო იყო, თუ რა ხდება, რა შეიცვალა ათი წლის შემდეგ პოსტსაბჭოურ სივრცეში.

კორ. - რა განსხვავებაა ათი წლის წინანდელ საქართველოსა და ახლანდელს შორის, რა ცვლილებები შეიმჩნევა?

ჯ. ს. - წარსულიდან ბევრი რამის აღდგენა მიჭირს, მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა: მაშინ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში ვიყავი და დამამახსოვრდა, რომ, მათგან განსხვავებით, ცხოვრების სტილი აქ უფრო ლაღი და თავისუფალი იყო, საქართველოს რაღაც იშვიათი სურნელი დაჰყვებოდა, რაც განსაკუთრებით მიმზიდველს ხდიდა მას.

ზოგადად კი, დღევანდელი მდგომარეობის შედარება იმდროინდელ საქართველოსთან, ალბათ, მთლად მართებული არ უნდა იყოს. უფრო უპრიანი იქნებოდა 1986 წლის საქართველოს შედარება სხვა რესპუბლიკების, ან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მდგომარეობასთან.

დღეს საგრძნობია ის, რომ ეკონომიკური აქტივობა, პროდუქციის წარმოება აქ ნულზეა დაყვანილი. კიოსკებში მიდის ვაჭრობა, მაგრამ პროდუქტების უმრავლესობა უცხოეთის ქვეყნებიდანაა შემოტანილი. ქვეყანაში არ არის გაზი, ცხელი წყალი, შეიმჩნევა ელექტროენერგიის დეფიციტი. ყოველივე ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ძნელია თქმა, რომ საქართველო ეკონომიკური პროგრესის გზას ადგას.

მესმის, რომ ეროვნული ვალუტის შემოღება თავისთავად დადებითი ნაბიჯია, მაგრამ ამ ვითარებაში ეს სრულიად უაზროდ მეჩვენება და დიდ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებ. მე ნამყოფი ვარ ყოფილი საბჭოთა კავშირის შედარებით უფრო მოწინავე ქვეყნებში, როგორიცაა ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, ან თუნდაც მოლდოვა, მაგრამ საქართველოს მათ ვერ შევადარებ. უფრო მართებული იქნებოდა შედარება ყირგიზეთთან, რომელსაც საკმაოდ კარგი რეპუტაცია აქვს დასავლეთში იმის გამო, რომ ეკონომიკაში გაატარა შოკური თერაპიის მეთოდი. მაგრამ, გარწმუნებთ, რაც იქ მოხდა, იმასაც ვერ დავარქმევდი ეკონომიკურ აქტივობას. ერთადერთი, რაც მიგვანიშნებს ეკონომიკის არსებობაზე, ესაა ჰუმანიტარული დახმარების ფონდების ამოქმედების შედეგად მიღწეული საქმიანობა. ვაჭრობის განვითარების გზით ყირგიზეთში საკმაოდ მყარი ეროვნული ვალუტაც კი შემოიღეს, მაგრამ ამ ეტაპზე არც ამას აქვს რაიმე შედეგი.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოში საკმაოდ შემაშფოთებელი მდგომარეობაა და ეს სავალალო სურათი უშუალოდ განიხილება იმ პოლიტიკური მოვლენების ჭრილში, რომელზე დაკვირვებაც ჩვენი ვიზიტის მიზანს წარმოადგენს.

კორ. - ჩვენ გავეცანით თქვენს წინასწარ ანგარიშს, სადაც მოკლედ გაქვთ მიმოხილული არჩევნების მსვლელობა. როგორც დამკვირვებელი, ზოგადად რას ფიქრობთ საქართველოში ჩატარებულ არჩევნებზე?

ჯ. ს. - როგორც მოგეხსენებათ, ეს ანგარიში მხოლოდ წინასწარი და არა საბოლოო ხასიათისაა და, ბუნებრივია, სრულად ვერ ასახავს ჩვენს შთაბეჭდილებებსა და მოპოვებულ ინფორმაციას. ჩვენი ჯგუფის წევრების თვალსაზრისით, რომელსაც, სამწუხაროდ, არ იზიარებენ აქ ჩამოსული სხვა უცხოელი დამკვირვებლები, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა ხდება ქვეყანაში არა მხოლოდ ხმის მიცემის დროს, არამედ მანამდე და შემდეგ.

ასე მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენ დავაფიქსირეთ ძალზე ბევრი აღმაშფოთებელი მომენტი, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად დემოკრატიული მრავალპარტიული სისტემის დამახასიათებლად. გავიხსენებ მხოლოდ ერთს, რომელმაც ჩვენ განსაკუთრებით შეგვაშფოთა და შეგვძრა - ესაა პოლიციის მიერ ადამიანების უკანონო დაპატიმრება. მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები სრულიად დაუსაბუთებელია, ვინაიდან ეს ხალხი კანონსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებდნენ. მათ, ვინც ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ თავისი აზრის გამოთქმის, მანიფესტაციის ჩატარების საშუალება, რამაც ჩვენზე საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამას, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით სხვა დამკვირვებლებზე.

ცხადია, ჩვენ იმასაც ვხედავთ, რომ არჩევნებში მრავალი პარტია მონაწილეობს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პრეზიდენტობის ექვსი კანდიდატი იყრის კენჭს, განსხვავებით 1992 წლისგან, როდესაც მხოლოდ ერთი კანდიდატურა იყო წარმოდგენილი. ეს შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეულ პროგრესად, თუმცა, იგი არაფერს ცვლის, ვინაიდან პოლიტიკური არჩევანი, არსებითად, კეთდება არა ექვს, არამედ ორ კანდიდატს, ორ ცნობილ კომუნისტს შორის, რომლებიც ადრე მართავდნენ საქართველოს. კომუნიზმის დამარცხებიდან 5-6 წლის შემდეგ, ეს, უბრალოდ, სასაცილოა. მათი არჩევნებში ბრძოლა სამართლიანადაც რომ წარიმართოს, ვშიშობ, თავად ეს ფაქტი წარმოადგენს საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესის მკაცრ შეზღუდვას.

# არჩევანი ორ კომუნისტს შორის არ გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის განწყობილებას

არჩევანი ორ უკიდურეს კომუნისტს შორის, არა მგონია, გამოხატავდეს საქართველოს მოსახლეობის ნამდვილ განწყობილებას. ეს სრულიად განსხვავებულია იმ ვითარებისგან, რასაც ადგილი ჰქონდა 1991 წელს, როდესაც, რეალური ალტერნატივის პირობებში, ამომრჩევლების 87%-მა ხმა მისცა ზვიად გამსახურდიას.

ინგლისურში ვხმარობთ სიტყვას - disenfranchire, რაც იურიდიულ ენაზე საარჩევნო და სამოქალაქო უფლების წართმევას ნიშნავს. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში ქალებს არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება. ეს ტერმინი შეიძლება ვიხმაროთ იმ ადამიანების, ან ძალების მიმართ, რომლებიც არ არიან წარმოდგენილნი პოლიტიკურ სისტემაში. არჩევანი პრეზიდენტობის კანდიდატებისა თუ პარტიების ხაზით ვერ ასახავს მათ პოლიტიკურ მოთხოვნებს და კიდევაც რომ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, პოლიტიკური თვალსაზრისით, წართმეული აქვთ ხმის უფლება. შთაბეჭდილება მრჩება, რომ სინამდვილეში ეს ეხება ქართველთა დიდ ნაწილს, შესაძლოა, უმრავლესობასაც კი.

სხვადასხვა დარღვევებისა და გაყალბებების მაგალითები არ მაძლევს საშუალებას, ეს არჩევნები მისაღებად ჩავთვალო. ჩვენს ანგარიშში მოყვანილია ჩვენი ჯგუფის მიერ ხმის მიცემისა და დათვლისას დაფიქსირებული დარღვევები. ასე რომ, ამ არჩევნებს ვერ ჩავთვლი დამაკმაყოფილებლად ვერც პროცესუალური, ვერც ტექნიკური თვალსაზრისით.

კორ. - და ბოლო შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, რატომ განსხვავდება ასე მკვეთრად სხვა დამკვირვებელთა დასკვნებისაგან ისეთი ორგანიზაციების შეფასება, როგორიცაა საპარლამენტო ასამბლეა, ეუთო? რა არის ამის მიზეზი?

ჯ. ს. - რაც შეეხება დამკვირვებლებს, რომლებიც ჩამოსულნი არიან საპარლამენტო ასამბლეის, ეუთო-ს, ევროპარლამენტის, ევროპული კომიტეტისა თუ სხვა ორგანიზაციათა ხაზით, ისინი არ ითვალისწინებენ ქვეყანაში არსებულ რეალურ სიტუაციას, არ გააჩნიათ ინფორმაცია იმაზე, თუ რა ხდება ქვეყანაში თუნდაც მათი ვიზიტის დღეებში, არ არ სურთ ამ ინფორმაციის მიღება.

მაგალითად, 3 ნოემბერს მთავრობის სახლთან გამართული საპროტესტო აქციის შესახებ ჩვენ გვქონდა ინფორმაცია ისევე, როგორც საზღვარგარეთელ ჟურნალისტთა დიდ ნაწილს. დამკვირვებელთა ერთი ჯგუფი კი მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა იქ, რომ ამ დროისთვის ოფიციალური შეხვედრა ჰქონდა დანიშნული. ეს მეტყველებს იმაზე, თუ როგორი მიდგომა აქვს დამკვირვებელთა უმეტეს ნაწილს არჩევნებისადმი. ისინი დიდ ბედნიერებასა და კმაყოფილებას განიცდიან ერთი შეხვედრიდან მეორემდე და სხვა მხრივ არავითარ ინიციატივას არ იჩენენ, არ ცდილობენ შეცვალონ მასპინძლების მიერ დადგენილი განრიგი, რომელიც უდავოდ შეიცავს საინტერესო შეხვედრებს. მაგრამ ოც-ოცდაათ პარტიასაც რომ შეხვდნენ, ეს იმდენ ინფორმაციას არ მისცემს მათ, რამდენსაც ამ ერთი აქციის დარბევის საკუთარი თვალით ხილვა.

საქართველოს შემთხვევაში არის კიდევ ერთი ფაქტორი - დასავლეთის მრავალ წარმომადგენელს მყარად აქვს გამჯდარი წინასწარი ცრუშეგონება, რომ შევარდნაძე არის ერთადერთი პიროვნება, რომელსაც შეუძლია საქართველოში სტაბილიზაციისა და წესრიგის დამყარება, რომ ის ერის ნამდვილი მამაა. მრავალი უცხოელის აზროვნებაში დამკვიდრებულია მითი იმის შესახებ, რომ ისინი მოვალენი არიან მადლობა უთხრან შევარდნაძეს ცივი ომის დამთავრებისთვის. მათ ნამდვილად სჯერათ, თუმცა არ ვიცი რატომ, რომ იგი ერთადერთი ჭეშმარიტი ქართველია ამჟამად და არაფერს ავნებს თავის ქვეყანას.

ეს აზრი იმდენად არის ჩაჭედილი მათ გონებაში, კიდევაც რომ მიუთითოთ სიმართლისკენ, არ მოისურვებენ მის დანახვას. ამიტომაც ამ არჩევნებს, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა მექანიკურად ეკისრება შევარდნაძეს, დასავლეთის დამკვირვებლები დამაკმაყოფილებლად ჩათვლიან.

მაგრამ შევარდნაძის იმიჯი თანდათანობით კარგავს ელვარებას და ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ საქართველოში უფრო სერიოზული ხალხის ჩამოსვლა დაიწყო, გამოჩნდნენ პიროვნებები და ორგანიზაციები, რომელთაც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე შეძლეს სიმართლე ეთქვათ საქართველოს შესახებ. ამან განაპირობა, რომ შევარდნაძის მხურვალე მხარდამჭერებიც კი, უკვე სხვაგვარად, ეჭვის თვალით უყურებენ მის მოღვაწეობას.

ჯერჯერობით, ჩემსა და მათ აზრებს შორის დიდი ნაპრალია, ისინი 5-6 წლით ჩამორჩებიან რეალობას, მაგრამ ეს ნაპრალი თანდათან ივსება, შევარდნაძე დასავლეთის თვალში სულ უფრო დისკრედიტირებული ხდება.

მართლაც, ოდიოზურია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერ დროს, შეიძლება იქნეს დაკავებული ტერორიზმის ბრალდებით. თუ დღეს იგი ტერორისტული აქტის მსხვერპლად მიიჩნეოდა, ხვალ შეიძლება თავად გამოაცხადონ მის ჩამდენად. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

საქართველოდან რომ მიდიხარ, არ შეიძლება არ გაგყვეს გრძნობა, რომ 30-ანი წლების საბჭოთა კავშირი მოინახულე. და მე მჯერა, რომ ეს იმ ხალხის შეგნებამდეც დავიდა, რომელიც სულ ახლახან ასე აქებდა შევარდნაძეს.

### წერილი გაზეთ "თავისუფალი საქართველოს" რედაქციას

## პროტესტი დეზინფორმატორებს

ამა წლის 3-9 ნოემბრის ნომერში (№25) მესამე გვერდზე რედაქცია აქვეყნებს ინტერვიუს პოლიტპატიმარ ზაზა წიკლაურთან. ინტერვიუს აქვს ძალზედ საინტერესო წანამძღვარი: " პოლიტპატიმარი - გოჩა მახვილაძე №7482615-ის საფუძველზე..."

რედაქციას არ ავიწყდება, რომ საქმე №7492815 ეხება 1992 წლის ივნისის მოვლენებს, არ კიდევ მიმართავს შეგნებულ პროვოკაციას.

1994 წლის 4 აგვისტოდან ვითხოვ "საბრალდებო დასკვნა"-ს №7492815 საქმის გამო მ.წ. 2 ოქტომბერს სწორედ რომ №7492815 საქმის ძიების დამთავრების და სასამართლო პროცესის ჩატარების მოთხოვნით გამოვაცხადე შიმშილობა.

ასეთი წანამძღვრები და მისი მსგავსი შენიშვნები რედაქციის მხრიდან არის ჩემი პიროვნების შეურაცხყოფა პრესის საშუალებით, რაც არაერთხელ ხდებოდა როგორც "თავისუფალი საქართველოს", ასევე სხვა გაზეთების საშუალებით. ამგვარი "შეცდომები" ღია პროვოკაციაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმაციასა და ჩემი პიროვნების შეურაცხყოფას.

მოვითხოვ გაზეთ "თავისუფალი საქართველოს" რედაქციამ მოიხადოს ბოდიში ჩემი პიროვნების შეურაცხყოფისთვის.

პოლიტპატიმარი
*გოჩა მახვილაძე*
3 ნოემბერი, 1995 წელი

რედაქციის მინაწერი: ბატონი გოჩა იმდენად დარწმუნებულია რედაქციის მხრიდან მის მიმართ გამიზნულ პროვოკაციაში, ვფიქრობთ, აზრსაც კი კარგავს მტკიცება, რომ მისი რისხვა ოდენ უნებლიე შეცდომამ გამოიწვია.

და მაინც, "თავისუფალი საქართველოს" რედაქცია იხდის ბოდიშს, თუ თავისდა უნებურად შეურაცხყოფა მიაყენა ბატონ გოჩა მახვილაძის პიროვნებას.

# შევარდნაძე ყიდულობს ვილას ბეიქოზის ტყეში


Hürriyet

22 Kasım 1995 Çarşamba

Kurucusu: Sedat Simavi 1896-1953

Piyango'dan beş milyar kazandı

Şevardnadze Beykozlu oldu

Gürcistan Devlet Başkanı Sevardnadze, Beykoz Saip Molla Ormanı içindeki Beykoz Konakları'ndan villa almak icin kayıt yaptırdı.

2 villa ayırttılar

Asırlık orman içinde

İçinde 100 yıllık av köşkü de var

## შევარდნაძე ბეიქოზელი გახდა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა შევარდნაძემ განაცხადი შეიტანა ბეიქოზის საიფმოლას ტყეში მდებარე ბეიქოზის დასახლებაში ვილის შეძენაზე.

როგორც გაირკვა, ბეიქოზის დასახლების 400 ვილიდან, რომლებიც მოშორებულია ქალაქის ხმაურს, ერთ-ერთზე შევარდნაძის გარდა განაცხადი შეიტანა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ. ამდენად, მათ ორი ვილა დაჯავშნეს. ვილები იყიდება სხვადასხვა ფასში - 600 ათასიდან 1 მილიონ დოლარამდე.

ბეიქოზის დასახლებას ასწლოვან ტყეში 1 მილიონ კვ.მ. ფართობზე აშენებს "თეფე ინშაათი" ისე, რომ ბუნებას ზიანს არ აყენებს. ვილები სამი ტიპისაა, სამი და ოთხ სართულიანი. დასახლებაში აიკრძალება მანქანით შესვლა და თითოეული ვილის მახლობლად იქნება ხუთი ხე. აქვე არის Chale Swiss-ის სახელწოდებით ცნობილი მონადირის ასწლოვანი კოშკი (იხ. სურათი) და საჯინიბო. დასახლებაში, რომლის მშენებლობა დასრულდება 1998 წელს, აგრეთვე იქნება სასეირნო ადგილები, ცხენოსნთა კლუბი, რესტორანი, საცურაო აუზი და კინოთეატრი. ეს მშვენიერი ადგილი განასახიერებს ცხოვრებას, რომელშიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული წარსული და მომავალი.

გაზეთი "ჰურიეთ", 25 ნოემბერი, 1995

მაშ ასე, ქართული რეფორმის მედროშე ედუარდ შევარდნაძე პრაქტიკული ნაბიჯებითაც ადასტურებს თავის პროდასავლურ ორიენტაციას და აფხაზეთთან ერთად დაკარგული სახელმწიფო აგარაკების სანაცვლოდ კერძო სექტორის განმტკიცებაზე ზრუნავს.

მართლაც, "გენიოსი" უბრალო ხალხის მსგავსად ხომ არ უნდა იტანჯებოდეს უსინათლობითა და სიცივით. მამულისთვის უანგარო სამსახურს შესაბამისი კომფორტიც ესაჭიროება.

თუ როგორ აისახება შევარდნაძისა და ფაცაციას ეს ძვირფასი შენაძენი საქართველოს სოციალურ და ენერგეტიკულ მდგომარეობაზე, ამას ზამთარი დაგვანახვებს.

# TAVISUPALI SAKARTVELO
### (FREE GEORGIA)
## №27 (in brief)
### 28 November - 4 December, 1995

### Persecution of Political Opponents Continues

On November 12, 1995 at 10.30 a.m. the employees of police and Prosecutor's Office visited the house of the editor-in-chief of the "Samreklo" newspaper Mr. Elizbar Javelidze. In the flat of Mr. Javelidze were other employees of the "Samreklo" newspaper Mamuka Tsiklauri, Revaz Urushadze and computer assistant. They were busy setting up the newspaper. The police and Prosecutor's Office representatives occupied the entrance and the staircase of all three floors, the streets adjacent to the house were blocked with police cars, and total of about 40 policemen were wandering on this territory.

The deputy of Mikadze, Mr. Gambashidze arrested Mr. Elizbar Javelidze and his associates without presenting any search or arrest warranty and without announcing them about the charges brought against them. Mr. Javelidze was taken to the Police Department and placed in the cell of preliminary detainment, while Mr. Mamuka Tsiklauri, Mr. Revaz Urushadze and Mr. Paata Peikrishvili were taken to the Mtatsminda District Police Station. Mr. Javelidze's spouse was not at home. She met her husband on the stairs as thee police was taking him to the Police Department. When she enquired what was the reason of the arrest of her husband, she was politely invited to the Police Department for the answer.

Three policemen were left in the house. One of them who was the deputy Head of the Mtatsminda District Police Station asked for Mr. Javelidze's wife permission to search the flat before the search warrant would be brought from the Prosecutor's Office. In the course of search twenty more policemen came to help with this procedure. Two sons of Mr. Javelidze and two neighbors were witnessing the search. This procedure lasted for three hours.

In the process of searching the deputy head of the Mtatsminda District Police Station called the Police Department for two times. First he has asked for the interactions about the computer and for the second time he asked what he should do with Mr. Zviad Gamsakhurdia's letters. The computer was sealed and taken to the Police Department. As for thee letters from the President, they were left in the flat after the persistent request of Mrs. Javelidze.

The policemen took the Identification Cards of Mr. Javelidze, the article sent by the political emigrant MR. Giorgi Kartvelishvili from Israel to be printed in the "Samreklo" newspaper.

Three hours later, when the search was over, the search warrant was brought. It read: "Information has been obtained that in Javelidze's flat were stored weapons and anti-governmental materials". None of the policemen was aware who had signed the search warrant. The policemen left the copy of the Search Protocol signed by the policemen, Mrs. Javelidze and two neighbors. At the Police Department Mr. Javelidze was charged with the accusation of appealing to forcible overthrow of the authorities. During the conversation the police authorities showed their dissatisfaction with the contents of the "Samreklo" newspaper. The family learned from thee unofficial sources that the arrest warrant of Mr. Javelidze was signed by the first deputy Head of the Police Department Mr. Zambakhidze.

### In What Direction Will Drift the "Fair Elections" Society

International Society "Fair Elections" distributed the Statement concerning the results of the observation of the elections of November 5, 1995. It is a brief summary of information provided by more than 1200 observers from 986 polling stations.

The Statement is of general character, and as stated it is presented in the form of the initial impressions. Thus, it does not contain any specific facts, and provides only the kinds of violations observed in pre-election period and in the process of elections. Among those is mentioned serious violations of the Election Law in the process of voting and counting of votes. Thus for example, the facts of delivering extra voting papers with their subsequent slipping into the voting boxes, preliminary filling of the voting papers, preventing of observers from entering the voting areas as well as the facts of their chasing out of the voting areas by the police. To this add the violations of the order of filling of Protocols and binding the voting papers after counting the votes, the violations in compiling the lists of voters, unnecessary prolongation of the votes counting procedure, participation of the representatives of the authorities and police in this procedure, facts of ignoring the complaints by the District Election Commissions and the Central Elections Commission etc.

Thus, the "Fair Elections" Society admits that on November 5 violations did take place. However, the Statement leaves the readers with the obvious sense of dissatisfaction, since it lacks the major points concerning the scale of the above mentioned violations and possibility of these violations to effect the final results of polling. The Statement does not provide the estimation of the elections on the whole - whether these elections were democratic and just though proceeded with some faults or whether they were the action carried out with the rough violations of the Law and thus failed to reflect actual attitude of the citizens. It is obvious that the leaders of "Fair Elections" are so far avoiding the answers on those questions. The question is what are the reasons of such behavior.

Of great importance is the fact of forming of the non-governmental structure of observers in Georgia, which in case of effective and objective activities will be able to work out rather strong mechanism of public control over the authorities.

The opinions concerning to what extent this institution is willing to become the real mouthpiece of public interests instead of one more structure controlled by the government though decorated with the label of non-governmental institution, vary. Undoubtedly, there is the solid ground for scepsis. Suffice it to say, that the "Fair Elections" Society is financed by the well-known American Organization - National Democracy Institute /NDI/, which managed to consider even the elections of 1992 as democratic and juridically justifies.

From this aspect, the elections in question were a serious exam for "Fair Elections" Society, the prestige of which to the great extent is depending on what answers it will provide to the major questions in its final and elaborated conclusion.

**Mamuka Tusishvili**

### The Court Hearing of "Zviad Gamsakhurdia and His Supporters' Case", Continues

Another political hearing began in the Supreme Court on November 16, 1995. This time in the dock is the deputy of the Supreme Council, Chairman of Human Rights Commission Mr. Zaur Kobalia. He is charged with the accusation of high treason and bandit actions (the crime qualified by Articles 65 and 78 of the Criminal Code envisages 15 year imprisonment of death sentence). As one could expect, the case was entrusted to the Judge Lery Sakvarelidze, who has already accumulated rich experience of relations with political opponents. He has recently finished the hearing of the participants of "The President's Case", invalids Zurab Bardzimashvii and Omar Kochlamazashvili. Givi Khabashvili, who is well known from the trial of Valter Shurgaia and Gocha Otkhozoria acts as a State Prosecutor. As we have learned from the lawyer of the political prisoner Mr.Temur Goksadze, Zaur Kobalia who was arrested on January 26, 11994, did not give any testimony in the course of the preliminary investigation and has not signed any documents presented by the investigation. The political prisoner does not admit himself guilty, which he once more confirmed when the case was closed in June, 1995. As it turns out, the Case of Zaur Kobalia is represented by 28 thick volumes and it took the lawyer two and a half months to get familiar with the materials of investigation. The political prisoner himself, had never looked through the materials of his case during the investigation.

After the opening of the Court Session of November 16, Zaur Kobalia when considering the issue of objecting the Court composition made a statement saying that he represented the lawful authorities. The only body which have been appointed by the lawful authorities was the Supreme Court: "Actually you are appointed by me; our authorities are declared illegal and they were overthrown as a result of military rebel... Proceeding from the above said, I refuse to make any conclusions and do not rise the issue of objecting the Court Composition yet." Mr. Kobalia declared that since he was under trial he would like to precisely estimate the details of his charge and tell the society the truth. The Court Session was postponed until November 27. Zaur Kobalia is expected to make a political statement at the next Session.

**Irakli Dgebuadze**

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia